

ქარ 2-260

საქართველოს  
მთავრობის აღმინისტრაცია



ADMINISTRATION  
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA



GOV 9 19 00000715



10/01/2019

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, ეკა ურუშამეს  
მის.: ქ. თბილისი, დელისის I შესახვევი 5ა  
ელ. ფოსტა: office@csrdg.ge  
ტელ.: 2 399 019; 2 399 018

ქალბატონო ეკა,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე 2018 წლის 15 ნოემბერს თქვენს მიერ წარმოდგენილი N37975 კორესპონდენციისა და თანდართულ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სურსათის უფნებლობის მოთხოვნების დარღვევისათვის“ კვლევის ანგარიშთან დაკავშირებით, გეგზავნებათ 2018 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის მიერ წარმოდგენილი N45233 კორესპონდენცია.

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია  
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე  
დარახველიძე ალექსანდრე

ალექსანდრე

# საქართველო



გარემოს დაცვისა და  
სოფლის უფროებების  
სამინისტრო

N 11640/01  
26/12/2018

11640-01-2-201812261659



საქართველოს მთავრობის აღმინისტრაციას

თქვენი 2018 წლის 21 ნოემბრის №GOV 1 18 00038942 წერილთან  
დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,  
ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 63 - ე მუხლის მე-6 ნაწილის  
თანახმად, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის  
შემთხვევაში საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის საგამოძიებო  
ორგანოს, მათ შორის, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის  
განხორციელების დროს დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის  
განხორციელების დროს ყოველწლიურად ფიქსირდება სურსათის საქართველოს  
კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის  
შემთხვევა, ყველა მათგანი არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ, სურსათის  
ეროვნული სააგენტო საგამოძიებო ორგანოებს საქმის მასალებს უგზავნის იმ  
შემთხვევაში, როდესაც ადამიანებში აღმოჩენილია სურსათისმიერი დაავადებები  
და სააგენტომ დაადგინა სურსათში იმავე ბიოლოგიური ან/და ქიმიური აგენტის  
არსებობა, რაც დაფიქსირებულ იქნა ადამიანებში.

ზემოაღნიშნული შემთხვევა გულისხმობს მათ შორის სსკ-ის 198-ე მუხლით  
(ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის  
დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია) გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებსაც.  
ამასთანავე, ზემოაღნიშნული პროცედურა გამომდინარეობს სურსათის/ცხოველის  
საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით  
დადგენილი მოთხოვნებიდან. კერძოდ, ამ კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის  
თანახმად: „მავნე სურსათი არის ისეთი სურსათი, რომელიც არ შესაბამება  
სურსათის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის  
მოთხოვნებს; ხოლო ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით რისკი არის  
ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცხოველის ჯანმრთელობაზე, მცენარის სიჯანსაღეზე  
საფრთხის ზემოქმედებისას მისი გავლენის ალბათობა და სიმძიმე. კოდექსის მე-11  
მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „სურსათის უვნებლობის დადგენისას

გათვალისწინებული უნდა იქნეს: სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის, აგრეთვე პირველადი წარმოების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა; საბოლოო მომხმარებლის მიერ სურსათის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა; სურსათის (მათ შორის, ცალკეული კატეგორიების სურსათის) მავნე ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად მომხმარებლისათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია (ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის ჩათვლით) ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია; სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მეყსეული, ხანმოკლე ან გრძელვადიანი გავლენა მომხმარებელზე, არამედ მისი ეფექტი მომდევნო თაობებზეც; შესაძლო ტოქსიკური კუმულაციური ეფექტი; განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე სურსათის ზეგავლენის დონე, თუ ეს სურსათი აღნიშნული კატეგორიის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.“ ამდენად, მხოლოდ გამოცდის ოქმში ან/და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შედეგის საფუძველზე, ვერ შეფასდება სურსათის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სურსათის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის

შესაძლო რისკის დონის განსაზღვრა უნდა მოხდეს:

1. კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებისა და მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებმა (მიკრობიოლოგი, ინფექციონისტი, ტოქსიკოლოგი და სხვა).

2. გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანის ჯანმრთელობაზე საფრთხის (ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტი) ზემოქმედებისას მისი გავლენის ალბათობა (მ.შ ადამიანში სურსათისმიერი დაავადების გამოვლენა და მისი კავშირი მოხმარებულ სურსათთან) და სიმძიმე (კონკრეტული დაავადების სიმძიმე).

აქვე გაცნობებთ, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან შემოსული ოფიციალური ინფორმაციის საპასუხო რეაგირებას სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მაშინ, როდესაც სურსათისმიერი დაავადება ადამიანებში კლინიკურად გამოვლენილია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სურსათსმიერი დაავადებების კლინიკური გამოვლენა ხდება ინკუბაციური პერიოდის შემდეგ, რომლის ხანგრძლივობა საშუალოდ 72 საათია და იგი შეიძლება გაგრძელდეს 1 დღიდან 5 დღის ჩათვლით. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საპასუხო სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ხშირ შემთხვევაში უცნობია გამოვლენილი სურსათსმიერი დაავადების ეტიოლოგია, ან უცნობია არის თუ არა აღნიშნული დაავადება სურსათმიერი, ვინაიდან შეუძლებელია საკვებისმიერ მოწამვლასთან დაკავშირებული სურსათის მოძიება და ლაბორატორიული გამოკვლევა მისი არ არსებობის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შედეგად, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო აფასებს ესა თუ ის შემთხვევა შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს და საჭიროების შემთხვევაში უგზავნის საქმის მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილი

